7278/3-53/23 2 28092023

7278/3-53/23
28-09-2023

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

როგორც ცნობილია, 2023 წლის 3 აგვისტოს შოვში მომხდარი სტიქიის საქმეზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2023 წლის 22 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში ინტერპელაციის ფარგლებში, მოგმართეთ რამდენიმე კითხვით:

1. იყვნენ თუ არა შოვის სტიქიის დროს, გარდაცვლილი ადამიანების ცხედრების აღმოჩენის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები?
2. არსებობდა თუ არა სტიქიის ზონაში ძებნა-შველის ღონისძიებების განხორციელებისას კონკრეტული სამოქმედო გეგმა? თუ ასეთი არ არსებობდა შემდგომ შემუშავდა თუ არა?
3. აგრეთვე გკითხეთ, უშუალოდ სტიქიის ზონაში მიმდინარე ძებნა-შველის სამუშაოების ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირების ვინაობა (სახელი და გვარი)?
4. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს პროგნოზებში ბუბისწყლიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე იყო საუბარი, აქედან გამომდინარე ხომ არ მოგიკვლევიათ ამ ტერიტორიაზე განგაშის სისტემა რატომ არ იყო დამონტაჟებული?

აღნიშნულ კითხვებზე მიპასუხეთ, რომ სამოქმედო გეგმა იცვლებოდა ყოველდღიურად. ადამიანების ცხედრები აღმოჩენილ იქნა მიწის მასის სხვადასხვა სიღრმეში, ექსპერტები ადგილზე მუშაობდნენ. ადგილზე ხორციელდებოდა ცხედრების ამოღება, დასურათება, ხოლო ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს ექსპერტიზის დეპარტამენტში გადაყვანის შემდეგ მათ სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდათ. დეტალურად მოხდა ყველა ცხედრის გარეგნული დათვალიერება და არსებული დაზიანებების აღწერა, რაც დასურათებული იქნა ექპერტ-კრიმინალისტების მიერ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, შოვის სტიქიის შედეგად გარდაცვლილი 32 ადამიანიდან ჩაუტარდა 21 გარდაცვლილს, ხოლო 11 გარდაცვლილისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი განაცხადეს ოჯახის წევრებმა.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით მოგმართავთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლით ჩემთვის მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტაცია:

- ძებნა-შველის ოპერაციის წერილობითი სამოქმედო გეგმები (რომლებიც ყოველდღიურად იცვლებოდა);

- შოვის სტიქიის ზონაში აღმოჩენილი ცხედრების პოვნის, მათი აღმოჩენის ადგილის, პოვნის ზუსტი დროისა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია. ექსპერტ-კრიმინალისტების მიერ ცხედრის აღმოჩენის დროს განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ინფორმაცია. გთხოვთ მომაწოდოთ თითოეული ცხედრის აღმოჩენის და ადგილზე დათვალიერების ფოტომასალა.
- ცხედრების აღმოჩენის დროს შედგენილი საგამოძიებო მოქმედების ოქმები. რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი და თარიღი; მისი დაწყებისა და დამთავრების დრო; საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირობები; იმ პირის თანამდებობა და გვარი, რომელმაც ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება; საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა სახელები და გვარები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მათი მისამართებიც. ოქმში ჩამოყალიბებული უნდა იყოს საქმისათვის არსებითი გარემოებები, აგრეთვე საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა განცხადებები და შენიშვნები.
- სტიქიის ზონაში ჩატარებული დათვალიერების ოქმები, რომლებშიც აღნიშნული უნდა იყოს ყველა აღმოჩენილი კვალი, საგანი, დოკუმენტი თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ინდივიდუალური ან/და გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით. ასევე ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა დროს, როგორ ამინდში და როგორი განათების პირობებში ჩატარდა დათვალიერება, რა ტექნიკური საშუალება იქნა გამოყენებული და რა შედეგი იქნა მიღებული, ვინ მონაწილეობდა საგამოძიებო მოქმედებაში, რა საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი დაილუქა. ასევე ინფორმაცია ლუქის ინდივიდუალური ნიშნებისა და დათვალიერების შემდეგ გვამის ან/და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტის გაგზავნის ადგილმდებარეობის შესახებ.
- ინფორმაცია ექსპერტ-კრიმინალისტების მიერ გამოყენებული ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებისა და მეთოდების შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია